194 მთავრობის მოამგე ოფიციალური გაზეთი წელიწადი მესამე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. შაბათი, აგვისტოს 28 1920 წ.

მთავრობის მოამგე, ოფიციალური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგა 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ზე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 100 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20·%· რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

კანტორისაგან.

ხელფასისა და ქაღალდის საგრძნობად გაძვირების გამო 1 სექტემბრიდან გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“

ელირება თვეში 200 მ. ცალკე ნომერი უველგან 10 მ.

გაზეთი 1 სექტემბრიდან წლის ბოლომდე ღირს **800 მ.** ვისაც გაზეთი გამოწერილი აქვს ძველ ფასებში მან უნდა გამოგზავნოს დამატებითი ფასი თვეში **130** მანეთი, წლის ბოლომდე დასამატებელი **520** მანეთი.

საერთო განცხადების ფასი 1 გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 მან., 4 გვერდზე 10 მან., ხოლო საბუთების დაკარგვის შესახებ განცხადებანი 160 მანეთი, სამოსამართლო უწყების სავალდებულო განცხადებანი 100 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომა (15×2) 300 მანეთი. ნისია განცხადების დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 პროც. კერძო პირების განცხადებანი **ნისიად არ დაიბეჭდება.**

უფასოდ განცხადებები არ დაიბეჭდება

და მათ შესახებ კანტორა არავითარ მიწერ-მოწერას არ მართავს.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისაგან.

თანახმად სააქციონერო საზოგადოების თამბაქოს ქარხნის „ა. ენფიანჯიანცი ტფილისი“ აქციონერთა საერთო კრების დადგენილებისა ნება ერთვება ხსენებულ საზოგადოებას გაადიდოს თავისი ძირითადი თანხა 9.600.000 მან. 19.200.000 მანეთამდე, დამატებითი ახალი აქციების მეხუთე გამოშვებით რიცხვით 96.000,— რომელიც შეადგენს სულ 9.600.000 მანეთს,—შემდეგ პირობებით:

1. გამოშვებულ აქციების ღირებულება განისაზღვრება 110 მანეთით რომლიდან 10 მანეთი უნდა გადავიდეს სათადარიგო თანხის გასადიდებლად.

2. ძველ აქციების მფლობელთ უპირატესობა ეძლევათ შეიძინონ თითო ძველ აქციაზედ ერთი ახალი აქცია 100 მან.,—ნომინალ ფასად.

3. ძველი აქციების მფლობელთა მიერ განცხადების შეტანის ვადა,—ახალი აქციების შეძენის შესახებ, მათი ღირებულების თანდართვით 1920 წლის 15 სექტემბრით განისაზღვრება.

4. დამატებითი გამოშვებულ აქციებზედ ფულის შემომტანთ ეძლევათ დროებითი მოწმობები, რომელნიც შეიცვლებიან ნამდვილ აქციებით, მათი სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციაში, დაბეჭდვის შემდეგ.

5. ახალ გამოშვებულ აქციებზედ საღერბო გადასახადი, თანახმად საღერბო გადასახადის წესდებისა, შეტანილი უნდა იქნას სრულიად ხაზინაში აქციების მაგივრობის გამწევ დროებით მოწმობების გამოცემასთან ერთად.

6. დანარჩენ შემთხვევებში, ახლად გამოცემულ აქციებისათვის იხმარება წესები, რომელიც მოყვანილია საზოგადოების წესდებაში.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი **ავალიანი.**

ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტის დირექტორი **ალშიბაია.**

სავაჭრო-სამრეწველო ნაწილის უფროსი **გუნცაძე.**

361 1—1

ამიერ კავკასიის ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ნებართვით 5 ენკენისთვიდან 1920 წ.

ქალ. სიღნაღში ხსნის თავის განყოფილებას

რომელიც აწარმოებს ყოველგვარ საბანკო ოპერაციებს.

2466 1—1

კავკასია-თურქესტნის საკაიო (სააქციო) ამხანაგობა

„ზ. ა. ჯორჯაძე და ძმ. აბრიკოვები“-ს გამგეობა

აუწყებს, როგორც ძველ მონაწილეთ (აქციონერებს), ისე იმათ, ვინც მოისურვა ამხანაგობაში ჩაწერა, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ ამა წლის აგვისტოს 19-ს ნება დართო ძირითადი თანხა ამხანაგობისა გავაძლიეროთ 17.000.000 მანეთით; ასე რომ სულ ძირითადი თანხა იქნება ოცი მილიონი; და ამ დამატებითი თანხის დაკვალად გამოვცეთ 17.000 წილი (აქცია); ამ აქციების ნომინალური ფასი (თითო 1.000 მან.) უნდა შეტანილი იქმნას **ორი თვის განმავლობაში** ამ განცხადების დაბეჭდვიდან.

პირნი, რომელნიც არ შემოიტანენ აქციების ფასს ამ ვადაში, დაჰკარგავენ ამხანაგობაში მონაწილეობის მიღების უფლებას. 2469 1—2

ოფიციალური განყოფილება.

განკარგულებანი

იუსტიციის მინისტრისა.

11 აგვისტო 1920 წ., № 311.

დაინიშნოს: ქუთაისის ოლქის სასამართლოს სამოსამართლო თანამდებობათა უფროს კანდიდატად ამავე სასამართლოს უნცროსი კანდიდატი ივანე პავლეს ძე მოსიძე ამა წლის აგვისტოს 15-დან.

№ 312.

შეებულება მიეცეს: ერთი თვის ვადით იუსტიციის სამინისტროსთან დროებით არსებულ საგამომძიებლო კომისიის წევრს გენადი ანდრიას ძე კოროლენკოს ამა წლის აგვისტოს 11-დან.

16 აგვისტო 1920 წ., № 313.

დაინიშნოს: ქუთაისის III უბნის გამომძიებელი ალექსანდრე ერმალოზის ძე ჭატარიძე ქუთაისის ოლქის საგანგებო საქმეთა გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად ამა წლის აგვისტოს 16-დან.

19 აგვისტო, 1920 წ. № 318.

დაინიშნოს: ლეჩხუმის უბნის გამომძიებლის თ. ა. გრიგოლ კონსტანტინეს ძე აბაკელია გამომძიებლად ბათუმში ამა წლის აგვისტოს 20-დან.

იუსტიციის მინისტრი **რ. არსენიძე.**

—

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

16 აგვისტო, 1920 წ., № 253.

დანიშნულ იქმნას: სოხუმის ოლქის აქციის ინსპექტორის უმცროსი თანაშემწე ივანე ჯაინოზის ძე ვანიძე იმავე ინსპექტორის უფროს თანაშემწედ ამა 1920 წლის 1 აგვისტოდან.

14 აგვისტო, 1920 წ., № 254.

დანიშნულ იქმნას: ბათომის ოლქის აქციის ინსპექტორის უფროს თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად ირაკლი ილიას ძე თუხარელი ამა 1920 წ. 26 ივლისიდან.

№ 255.

განთავისუფლებულ იქმნას: დასასვენებლად საბიუჯეტო-სახაზინო ნაწილის ბუხჰალტერი მოსე ბორისის ძე როზენბერგი ამა 1920 წლის 14-დან 24 აგვისტომდე.

16 აგვისტო, 1920 წ., № 256.

დანიშნულ იქმნას: საბაჟოს ნაწილის მდივნის თანამდებობის აღმასრულებლად გრიგოლ მიხეილის ძე ხაინდრავა ამა 1920 წ. 16 აგვისტოდან.

23 აგვისტო, 1920 წ., № 259.

დანიშნულ იქმნას: დროებითი სახელმწიფო ქაღალდების დამზადებელ ექსპედიციის კონტროლიორის თანამდებობაზე დარია გიორგის ასული თენიშვილი ამა 1920 წლის 20 აგვისტოდან.

№ 260.

დანიშნულ იქმნას: დროებით სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციის კონტროლიორის თანამდებობაზე ანეტა მეთოდეს ასული ჯაფარიძე ამა წლის 1920 წლის 20 აგვისტოდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი **ს. ავალიანი.**

—

ფოსტა-ტელეგრაფის ტელეფონის სამმართველოს უფროსისა.

2 ივლისი, 1920 წ., № 249.

გამწესებულნი არიან: ყოფილი განყოფილების უფროსათ იოსებ ჩარახჩანოვი ახლათ მარტყობის განყოფილების უფროსად; ყოფილი ფოსტალიონები: გიორგი კვირკელია და არსენ ბერიშვილი ახლად მეორე კატეგორიის ფოსტალიონებათ: კვირკელია—გომბორში, ბერიშვილი—ბაშკიჩეთში; ყოფილი მოხელეები: ნიკოლოზ სარჭისოვი, მარიამ მესარკოვა, ლეონტი კაკავა, ბარბალე ჩილოვა—ოკალეი, თამარა ტოგონიძე და ძოქალაქე ივანე ჭილაშვილი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებათ: მესარკოვა მე-6 ხარ. ქუთაისში, სარჭისოვი მეხუთეთი—ტფილისის მეორე სამოქალაქო განყოფილებაში, კაკავა—ტფილისის ფოსტაში მეხუთე ხარ., ჩილოვა—ოკლეი მეხუთე ხარ.—ტფილისის ტელეგრაფში და ჭილაშვილი მეექვსე ხარ. არტაანში, ტოგონიძე მეექვსე ხარ. ფოთში. ბერიშვილი სარჭისოვი და კაკავა პირველ აგვისტოდან, კვირკელია და მესარკოვი 4 აგვისტოდან; დანარჩენნი 1920 წლის 6 აგვისტოდან.

გამწესებულნი არიან: მეორე კატეგორიის ფოსტალიონი სოხუმის კანტორისა ანდრონიკე ხაბურძანია პირველ კატეგორიის ფოსტალიონათ იმავე კანტორაში 1 ივლისიდან, მეხუთე ხარისხის მოხელე გალის განყოფილებისა კლემენტი ყურუა იმავე განყობილების უფროსად. გალის განყოფილების უფროსი ევტიხე ჰანტურია მეოთხე ხარისხის მოხელეთ ტფილისის მეხუთე სამოქალაქო განყოფილებაში. ტფილისის ტელეგრაფის კანტორის მეხუთე ხარისხის მოხელე ივანე კიკვაძე მეოთხე ხარ. მოხელეთ ქუთაისის კანტორაში. სურამის მეექვსე ხარ. მოხელე ლევან ვეზიროვი მეხუთე ხარ. მოხელეთ იმავე კანტორაში. ყურუა და ჰანტურია 1 აგვისტოდან, კიკვაძე 5 აგვისტოდან და ვეზიროვი 6 აგვისტოდან 1920 წლ.

გადაყვანილნი არიან: ტფილისის ფოსტის კანტორის ფოსტალიონი კამკამიძე-ბასილაშვილი და ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები: დიდიჯიხაიშის ვლადიმერ ვაშაკიძე, ტფილისის ტელეგრაფის კანტორის ეპიფანე ვარდოსანიძე, ქუთაისის—ბაბილინა გენძეხიძე; ქუთაისის ტელეფონის ქსელის მეექვსე ხარისხის პარასკევა გეგეჭკორი იმავე წოდებებით თანახმად თხოვნებისა: კამკამიძე მეხუთე განყოფილებაში, ვაშაკიძე—სამტრედიაში, ვარდოსანიძე—ქუთაისში, გეგეჭკორი და გენძეხიძე ტფილისში; ვაშაკიძე 1 აგვისტოდან, გენძეხიძე 5 აგვისტოდან, დანარჩენნი 1920 წ.

დათხოვნილნი არიან: თიანეთის ზედამხედველი პორფილე ანდრიაძე უფროსი მექანიკოსი ტფილისის ტელეფონის ქსელისა იანის ზუსნე და ზედამხედველი იმავე ქსელისა ედუარდ ნიმმი და ფოსტალიონი მეხუთე სამოქალაქო განყოფილებისა გიორგი ცერცვაძე; ანდრიაძე 25 თებერვლიდან, ზუსნე და ნიმმი 5 აგვისტოდან, ხოლო ზუსნე, ნიმმი და ცერცვაძე თანახმად თხოვნებისა.

გამორიცხულია სიებიდან: ქუთაისის ტელეფონის ქსელის მეექვსე ხარისხის მოხელე მარიამ მესხი სიკვდილის გამო 1920 წლის ივლისის ოცდა ათიდან.

სამმართველოს უფროსი **მგელაძე.**

არა ოფიციალური განყოფილება

გრძანება რესპუბლიკის ჯარების მიმართ.

ამ უკანასკნელ დროს რესპუბლიკის ჯარში ადგილი ჰქონდა რამდენიმე ყოვლად საზიზღარ შემთხვევას-ოფიცრებს უცემიათ ჯარისკაცებისათვის. ზედმეტად მიმაჩნია განუმარტო უფროსებს, თუ რამდენად დაუშვებელი და აღმაშფოთებელია ასეთი ყოვლად უმზგავსო საქციელი. სრულიად მტკიცე და ურყევი სამხედრო დისციპლინა აუცილებელია ჯარში, მაგრამ ქართველი ჯარისკაცის მოქალაქეობრივი შეგნება იმდენათ მაღალია, რომ ის სრულიად არ საჭიროებს აღზრდის ასეთ ბარბაროსულ საშუალებებს. ვაი იმ ოფიცერს, რომელიც არა ხელით, არამედ უშვერი გინებით შეურაცყოფს თავისუფალ რესპუბლიკის მხედარს. ბრიგადების და ცალკე ნაწილების კომანდირებს ვუბრძანებ სასტიკი თვალყური ადევნოს ამ გვარ მოვლენებს. ულმობლათ დასაჯონ დამნაშავენი. ასეთ ოფიცრებს არა-

ვითარი შემთხვევაში არ უნდა ექნეს ადგილი რესპუბლიკის არმიაში. მომხდარი შემთხვევები სასწრაფოდ იქნეს გამოძიებული. დამნაშავენი სასტიკად და სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ-არმიიდან გაიდევნონ და სამართალში მიეცეს. ამიერიდან ასეთი საქმისათვის პასუხს ვაგებინებ არა მარტო პირდაპირ დამნაშავეს, არამედ იმ ნაწილის უფროსს, რომელშიაც ადგილი ექნება ასეთ უმხვავსოებას.

სამხედრო მინისტრი გრ. **ლორთქიფანიძე.**

დამფუძნებელ კრებაში

ჯავახეთის ერობის ხმოსანთა პირველი ყრილობა მიესალმება ქართველი ხალხის სრულუფლებიან წარმომადგენელს—დამფუძნებელ კრებას და ღირსად სწამს რომ დემოკრატიის საუკეთესო წარმომადგენელნი მტკიცე საფუძველს ჩაუყრიან დემოკრატიულ საქართველოს სახელმწიფოებრივ ორგანიზმს. ყრილობა დარწმუნებულია, რომ დამფუძნებელი კრება განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრობა საქართველოს ძველი პროვინციის, ჯავახეთის საჭიროებებს და ერობას შეაძლებინებს გაპარტახებულ ჯავახეთის მკვდრეთით აღდგენას. თავის მხრივ ყრილობა ფიცს სდებს არ უღალატოს საქართველოს დემოკრატიის დიად იდეალებს და ემსახუროს დამოუკიდებელ საქართველოს განმტკიცების საქმეს, ჩვენში მოსახლე ყველა ერების საკეთილდღეოდ.

ყრილობის თავმჯდომარე **რამიშვილი.**

მიწად-მოქმედების სამინისტროში.

კახელ მევენახეთა კავშ. გამგეობის შუამდგომლობა.

კახელ მევენახეთა კავშირის გამგეობამ მიწად-მოქმედების სამინისტროს მიჰმართა თხოვნით, რათა მას დაუთმოს იჯარით მუკუზანის მამულში სახელდობრ „დამარჩინე"-ს ადგილში 13 დესეტინამდე ნაკვეთი, ამერიკულ ვაზის და ნამყენის სანერგის გასაშენებლად. მიწად-მოქმედების სამინისტრომ კახელ მევენახეთა კავშირის გამგეობის შუამდგომლობა დააკმაყოფილა. ამ უკანასკნელ ხანებში ფილოქსერა საშიშარ ხასიათს ღებულობს და კახეთის ვენახების ნამყენ ვაზზედ გადაყვანა შესაძლებელი გახდა, რომ ეს სენი მოსპობილ იქმნას. ადგილი „დამარჩინე" კახელ მევენახეთა კავშირს დაეთმობა მხოლოდ ამერიკულ ვაზის და სანერგეს გასაშენებლად, რომელიც უნდა იყოს გაშენებული არა ნაკლებ 10 დესეტინისა. იჯარის ვადა დადებულია 12 წელი, ვადის შემდეგ იჯარის განახლების უფლებით.

გოგირდის შეძენა.

სამინისტროს სახელზე საზღვარ-გარეთიდან მოსულია საუკეთესო ღირსების გოგირდი. მომავალ წლის საჭიროებისათვის; სახელმწიფო მამულებისათვის შეძენილ იქნება 3000 ფუთი გოგირდი.

ჩაქვის ჩაი.

ჩაქვიდან მიწად მოქმედების სამინისტროს ატყობინებენ, რომ ძველი მოსავლიდან მხად არის 60 ათასი გირვანქა ჩაი და ახალი წლევანდელი მოსავალი—30 ათასი გირვანქა, მეორე მოკრეფას ელიან უფრო მეტს. მომარაგების სამინისტრომ მიჰმართა თხოვნით მიწად-მოქმედების სამინისტროს, რომ მუშათა მაგიდას ჩაი დაუთმოს. მიწად მოქმედების სამინისტრომ მუშათა მაგიდისთვის 15-ათასი გირვანქა ჩაი გადასდო.

მულინისეული მამული.

მულინისეული მამული რომელიც მიწად-მოქმედების სამინისტროს კულტურულ მამულებში იყო გადასული, მოუსავლობის და მამულის სახელმწიფოსთვის გამოუსადეგრობის გამო გადაცემულია ისევ ყოფილ მეპატრონესათვის იჯარით.

კარდანახის და ვარციხის მამულები.

კარდანახის და ვარციხის სახელმწიფო მამულებიდან მიმდინარე წლის ყურძნის და ტკბილის გაყიდვისთვის შესდგება განსაკუთრებული კომისია მიწად-მოქმედების სამინისტროს წარმომადგენლებისაგან. ამ კომისიას დაევალება ყურძნის და ტკბილის ბაზრის საშუალო ფასის გამორკვევა.

ახალ ათონის მონასტრის შუამდგომლობა.

ახალ ათონის მონასტერის ბერებმა შუამდგომლობით მიმართეს მიწად-მოქმედების სამინისტროს, რათა მათ მიეცეთ ახლად მიღებული სახელმწიფო მამულები „ახალი ათონის" მამული იჯარით. მიიღო რა მხედველობაში მიწად-მოქმედების სამინისტრომ ახალ ათონის „ძმობის" დიდი შრომის დახარჯვა ახალ ათონის კულტურულ მეურნეობის შესაქმნელად სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია ხსენებული მამული ათონის მონასტერს გადასცეს იჯარით.

უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

ხალხთა ლიგა.

ხალხთა ლიგის საბჭომ მიანდო მთავარ მდივანს იმ სახელმწიფოთა სიის შედგენა, რომელთაც სამრეწველო ცხოვრება განვითარებული აქვთ. განზრახულია მოიწვიონ ხალხთა ლიგასთან მრეწველთა საერთაშორისო საგანგებო ყრილობა, რომელმაც მსოფლიო წარმოების აღდგენის საკითხი უნდა განიხილოს. იმ სახელმწიფოებმა, რომლებშიაც მრეწველობა მეტად განვითარებულია, უნდა აღმოუჩინოს ტეხნიკური დახმარება იმ სახელმწიფოებს, რომლებშიაც მრეწველობა ნაკლებად არის განვითარებული.

„ტაიმსი" ამიერ-კავკასიის შესახებ.

„ტაისმი" ამიერ-კავკასიის მდგომარეობას საგანგებო წერილს უძღვნის: გაზეთი აღნიშნავს, რომ საქართველოში და სომხეთში იზრდება არა მარტო ანტი ბოლშევიკური ტენდენციები, არამედ საერთოდ ანტი-რუსულ გრძნობებიცო. დამოკიდებულების ასეთი გამოწვევებაში დამნაშავენი თვით ბოლშევიკები არიანო.

ოსმალეთი ომიანობის დროს.

„ილერი" წერილში „ომიდან ზავისაკენ" აღნიშნავს, რომ ომიანობის უკანასკნელ წლებში ოსმალეთმა სიკვდილი, შიმშილი და სხ. უბედურებანი განიცადაო. ახლა ოსმალეთმა არა სამართლიან ზავითაც უნდა ისარგებლოს და მთელი თავისი ყურადღება უნდა მიაპყროს წარმოებას, რომლის საშუალებითაც არსებულ სახელმწიფოთა შორის მას სათანადო ადგილის დაკავება შეუძლიაო.

პოლკ. ჰასკელი საქართველოს შესახებ.

პოლკოვნიკმა ჰასკელმა საფრანგეთის პრესის წარმომადგენელთან განაცხადა საქართველოს შესახებ რომ ქართველები თავისუფლების მოპოვების დიდი ხანია შეუდგნენ მუშაობას და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას. საქართველოს აქვს ორი დიდი ნავთსადგური, რკინის გზების განვითარებული ქსელი და დიდძალი მოძრავი შემადგენლობა, მისი ბუნებრივი სიმდიდრე დიადია. მე უნდა განვაცხადო, რომ მართალია საქართველოს მთავრობას არ აქვს დიდი გამოცდილება, მაგრამ მან უკვე გამოიჩინა თავისი პოლიტიკური სიბრძნე. იგი საკუთრების უფლებას პატივსცემს, ხელს უწყობს წესრიგის დამყარებას და მეზობელ სახელმწიფოებთან კეთილი განწყობილება სურს დაამკვიდროს. ბოლშევიკურ საფრთხის შესახებ ჰასკელმა განაცხადა: საქართველო და სომხეთი თავის დამოუკიდებლობას მტკიცედ იცავენ, მაგრამ ეს ორი ერი მცირე რიცხოვანია. ბოლშევიზმთან ბრძოლაში მათ უნდა დაეხმაროს ევროპა. დასასრულ ჰასკელი შეეხო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფედერაციის საკითხს და განაცხადა: თუმცა იგი ამ იდეას დადებითად უცქერის, მაგრამ ამ ჟამად, როდესაც აზერბეიჯანი ბოლშევიკების ხელშია, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფედერაცია შეუძლებელიაო.

(გაზეთებიდან).

დასავლეთი ევროპა ბოლშევიზმის და პოლონეთის საკითხის შესახებ.

„გაზეთ Ohzerver"-ში მოთავსებულია სტატია, რომელშიც აღნიშნულია რომ პოლონეთმა უკანასკნელ თავის გამარჯვებით ჰპოვა სწორე და ნამდვილი გზა. პოლონეთი რომ ასე არ მოქცეულიყო, მაშინ არც ინგლისი და არც საფრანგეთი მხარს არ დაუჭერდა პოლონეთსაო-სწერს გაზეთი. რაც შეეხება ბოლშევიზმს და საერთოდ რუსეთის საკითხს დასავლეთ ევროპისთვის ცხადია ერთი რამ: არც ერთი მიმდინარეობა თუ მიმართულება ევროპაში ბოლშევიზმს არ მიემხრობა. ხალხის უმრავლესობას სჯერა რომ ევროპაში ბოლშევიზმს ნიადაგი სრულიად არ ექნება. ბოლშევიზმი სრულიად უყურადღებოდ უნდა დასტოვოს ევროპამ და მას გვერდზე გაუაროს.

პოლონეთის საზავო პირობები.

პოლონეთის საზავო პირობები ბოლშევიკებთან ასეთია: პოლონეთის სახელმწიფოებრივი დამოკიდებულობის ხელშეუხლებლობა და მის ნაციონალურ საქმეებში ჩაურევლობა.

ვრანგელის დესანტი სოჭაში.

გაზეთების ცნობით გენერალ ვრანგელს სოჭა აუღია. ვრანგელის თავდასხმა წითელ არმიელებზე სრულიად მოულოდნელი იყო. საბჭოთა ჯარებიდან მრავალი ტყვე მოჰყვა.

ელინთა მისიის ცნობები

ქემალ-ფაშას განკარგულება.

გაზეთების ცნობით, ქემალ ფაშამ განკარგულება გასცა შავი ზღვის ნაპირათ მცხოვრები ბერძნები სახელმწიფოს შუაგულში გადაასახლეთო. კერასუნდში ეს განკარგულება სისრულეში მოიყვანეს. ტრაპეზუნდში ქემალის განკარგულებას ოსმალებს შორის მოწინააღმდეგე აღმოუჩნდენ.

დამად-ფაშა.

სტამბოლიდან მოსული ცნობით დამად ფერიდ ფაშამ სთხოვა გამოჩენილ ლიბერალს ლუფტი ფიქრი ბეის ანატოლიაში გამგზავრება და მუსტაფა ქემალთან მოლაპარაკება. ლუფტი ფიქრი ბეიმ უნდა აუხსნას ქემალს, თუ რა საფრთხეს უმზადებს ის თავის მოქმედებით სტამბოლსა და საზოგადოდ ოსმალეთს. ფერიდ ფაშა პირდება, რომ ქემალისტების ბელადებს აპატიებს დანაშაულს და საზღვარ-გარედ გასვლის ნებას მისცემს.

ბულგარეთი.

ბულგარეთის პრემიერ მინისტრმა სტამბულინსკიმ საგარეო პოლიტიკის შესახებ წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა, რომ ბულგარეთის მეზობელი სახელმწიფოები უნდობლად უყურებენო. ყველამ უნდა გაიგოს, რომ ჩვენ ვაშენებთ ახალ ბულგარეთს. არ ვკარგავთ საზავო ხელშეკრულების გადასინჯვის იმედს. ბულგარეთი არც ერთ მხარეზე თავდასასხმელად არ ემზადებაო.

სტამბოლის უნივერსიტეტი.

სტამბოლის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი და ქალთა განყოფილება იხურება. უნივერსიტეტში დარჩება მხოლოდ იურიდიული და საექიმო ფაკულტეტები.

ქემალისტების ტერიტორიაზე.

ქემალისტების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე და განსაკუთრებით კი შავი ზღვის სანაპირო ადგილებში ქრისტიან მცხოვრებთა მდგომარეობა საშიშ სახეს ღებულობს. შექმნილი მდგომარეობა იმის მაჩვენებელია, რომ ქრისტიანებს ოსმალეთში ცხოვრება არ შეუძლიანთ. ამგვარი მდგომარეობა იმ პოლიტიკურ ჯგუფების პოზიციას ამაგრებს, რომლებიც ამბობენ, რომ ფერიდ ფაშას არ შეუძლია საზავო ხელშეკრულების პირობათა შესრულებაო.

სომხეთში

ხორენის და შირინიანის დახვრეტა.

„არაჩი" იუწყება, სომხეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა, სომხეთის პარლამენტის წევრების ხორენის და შირინიანის ბალშევიკების მიერ დახვრეტის შესახებ სომხეთის პროტესტზე, ჩიჩერინისაგან პასუხი მიიღო. ჩიჩერინი აცხადებს, რომ ამ მკვლელობის შესახებ მას არავითარი ცნობები არ აქვს; მაგრამ ფაქტი მართლაც რომ იყოს, ის ბალშევიკებს არ უნდა მიეწეროსო. ჩიჩერინის აზრით სომხეთის პარლამენტის წევრები მოკლეს ზანგეზურში სომხებსა და თათრებს შორის შეტაკების დროს.

საქონლის გაყიდვა.

სომხეთის მთავრობამ გადასწყვიტა საზღვარ გარედ ბამბის, ტყავის, მატყლის და სხ. საქონლის გაყიდვა. ამ საქონლების რეალიზაციის შემდეგ სომხეთის მთავრობა სომხეთისათვის საჭირო საგნებს შეიძენს.

დაშნაშავე მოღვაწეთა დევნა

„არაჩი" იუწყება: ზანგეზურში და ყარაბაღში სომხების და მათ შორის დაშნაკ მოღვაწეთა დევნა გრძელდება. უკანასკნელ დღეებში ტერტერში 13 და ზანგეზურში კი 15 დაშნაკელი მოკლეს. სომხების სოფლები ანგელატი და კარაკლისი მიწასთან გაასწორეს.

თათრების შეიარაღებული ძალები.

თანახმად იმავე წყაროებისა, თათრების შეიარაღებული ძალები დერალაგეზში გადასვლას ლამობენ. ახტასა და ბაზარ-ჩაის სოფლების ახლო აგვისტოს 15 და 16, თათრებსა და სომხებს შორის შეტაკებები მოხდა.

ტრაპეზუნდში.

უკანასკნელ ხანებში ტრაპეზუნდში დიდ არეულობას აქვს ადგილი. ყოველ ჟამს აპატიმრებენ და ძალას ხმარობენ ბერძენთა და სომეხთა მცხოვრებლებს. არეულობის ჩასაქრობათ გამოწვეული არის ერზერუმიდან ჯარი, ადგილობრივი ადმინისტრაცია უმწეოა და ვერაფერს აწყობს. საფრანგეთის მისიის წარმომადგენელი ბ-ნი ლეპისიე საპატიმროდან გაანთავისუფლეს თუ არა წავიდა ბათუმში. აქ მყოფი რუსის ბოლშევიკები ამბოხებაში და არეულობაში არავითარ მონაწილეობას არ იღებენ, მაგრამ თავიანთ სასარგებლო აგიტაციას კი ეწევიან. უკანასკნელ დროს კი ტრაპეზუნდში მიღებულ ცნობებით რიზეში თავს იყრის თურმე დიდი მძარცველთა ბანდა, რომელსაც განზრახვა აქვს ტრაპეზუნდს თავს დაესხას.

სასურსათო ცხოვრება

პურის შემოტანა.

თანახმად სასურსათო განყოფილების პურის ბიუროს ცნობისა, აგვისტოს 9-დან 12-მდე ცალკე პირების და დაწესებულებათა სახელზე სულ 40.095 ფუთი და 35 გირ. პური შემოუტანიათ. პურის კანტორების საშვალეს პური ფურნეებს, სამხედრო უწყებას. სამოქალაქო დაწესებულებებს და სხ. ორგანიზაციებს გადაეცა. ამ ხნის განმავლობაში პურზე შემდეგი ფასები არსებობდა: შავი ქერი 500-600 მან. ფუთი; თეთრი 600-900 მ., ქერის ფქვილი 1.100—1.650 მან., ხორბალი 1300—1500 მან., პურის ფქვილი 1450 მან., სიმინდი 1200 მან.

ფინანსთა სამინისტროში

გადასახადების ნორმის შეცვლა

ფინანსთა მინისტრის საბჭომ დამფუძნებელ კრებაში შესატანად მოიწონა, პროექტი პირდაპირ გადასახადების წესდების მე-519 მუხლის შენიშვნის დამატების შესახებ. ვინაიდან უფროსს მოსამსახურეთა ჯილდოს ნორმები ცვალებადია, პროექტი წინადადებას იძლევა: ყოველ საანგარიშო წელში მოხდეს ერთხელ ამ ნორმების ფიქსაცია. ფინანსთა მინისტს უნდა მიეცეს უფლება მოახდინოს ნორმების ფიქსაცია სხვა და სხვა დაწესებულებებში და სხვ.

სატარიფო პალატაში

სატარიფო პალატამ გაუგზავნა სოხუმის ქალაქის თვითმართველობას ერობათა და ქალაქთა ყრილობისათვის გადასაცემად შემდეგი განმარტება: იმ დეპეშის საპასუხოდ-რომელიც შეიცავდა აფხაზეთის ქალაქებსა და ერობის ყრილობის პროტესტს სატარიფო პალატის აგვ. 13, გადაწყვეტილების გამო ჯამაგირების შესახებ და რომელშიც ბრალს გვდებენ თითქოს, ანგარიშს არ უწევდეთ თვითმართველობათა ფინანსიურ სახსარს და ვადიდებდეთ ჯამაგირს წყაროს დაუსახელებლად გაუწყებთ, რომ ჩვენ მიერ გამოტანილი დადგენილება სავალდებულოა მხოლოდ იმ დაწესებულებებისა და სამრეწველოებისათვის, რომელთა მოსამსახურეებს ჯამაგირიც სატარიფო პალატის მიერ არის დაწესებული. მომავალში ასეთი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად სატარიფო პალატას საჭიროდ მიაჩნია ერობებისა და ქალაქების წარმომადგენელებთან შეთანხმებით შეიმუშაოს მოსამსახურეთა ჯამაგირის რაოდენობა, რათა გავანთავისუფლოთ თვითმართველობანი ჯამაგირების მომატების ხშირი გადასინჯვისა და საკითხის ადგილობრივად გადაწყვეტისაგან.

ბიბლიოგრ. შენიშვნები

ნოე ჟორდანია.

ტომი II-რე.

მივიღეთ ნ. ჟორდანიას ნაწერების მეორე ტომი, გამოცემა ისევ ქართული ბეჭდვითი ამხანაგობისა. წიგნს წინ უძღვის ავტორის უკანასკნელი სურათი. წიგნში მოთავსებულია ევროპის ცხოვრებიდან სამი წერილი „მოგზაურობა შვეიცარიაში", „პარიჟი", ორიენტალისტთა მე X საერთაშორისო კონგრესი და მეოთხე წერილიც ჩვენი ცხოვრებიდან „მესამოცე წლების მოღვაწენი და დღევანდელი ცხოვრება" ზოგი ეს წერილები დაბეჭდილი იყო 1893—4 წელს ჟურნალ „კვალში", ეს ის დრო იყო, როცა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება მოდუნებული იყო, მას გარდა დღიურ საკითხებისა სხვა არაფერი

აინტერესებდა. მისი გონება საღათას ძილით იყო შეპყრობილი. ევროპის, მის ეკონომიურ თუ პოლიტიკურ ცხოვრების შესასწავლად ნაკლებათ ზრუნავდენ. ამ საერთო ყუდრაობას ხშირად არღვევდა საზღვარ-გარეთიდან თავის წერილებით ნ. ჟორდანია. დღეს მდგომარეობა შეიცვალა: ევროპის ცივილიზაციით ვიწყეთ ზიარება, ევროპის კულტურისკენ ვიბრუნეთ საბოლოოთ პირი, გაევროპიელებული ინტელიგენციაც გვყავს, მაგრამ მიუხედავათ ამისა ნ. ჟორდანიას მაშინდელი საზღვარგარეთელი წერილები დღესაც ხალისიანად და ინტერესით იკითხება; დღესაც უღრესი მნიშვნელობა აქვს მათ ჩვენი ცხოვრებისათვის. ამ მხრივ აღსანიშნავია განსაკუთრებით პირველი წერილი „მოგზაურობა შვეიცარიაში“, სადაც მხატვრულად არის აღწერილი შვეიცარიის მრავალფეროვანი ბუნება, ხალხის ყოფა-ცხოვრება, გვარ-ტომობა, სადაც არც ბატონი იყო იმ დროს არც ყმა, სუფევდა ერთა სოლიდარობა. ამ თავისუფალ სახელმწიფოს მოსაზღვრე სახელმწიფოებს ავტორი სამართლიანად უწოდებს „ვეშაპებს“, რომლების მადა შემდეგ უფრო გადიდდა, მაგრამ პატარა, უმაღლესად კულტუროსანი განვითარებული, თავისუფალი შვეიცარია, მაინც ძველებურად დარჩა, ამაყი, შეუპოვარი, შეუდრეკელი ენერგიით და მებრძოლი სულით.

წერილში დაწვრილებითაა აღწერილი შვეიცარიის კულტურული და ყოველმხრივ განვითარებული მეურნეობა, ტეხნიკა, რომელმაც დაიმორჩილა და თავის სასარგებლოდ გამოიყენა ბუნების ყველა ძალები. შვეიცარიაში გაცილებით უფრო მეტი მიწის სივიწროვეა, ვინემ ჩვენში, მაგრამ ხალხი უკეთეს საარსებო პირობებშია, ვინემ ჩვენში, რადგანაც სულ რამოდენიმე საუენ მიწიდან უფრო მეტ სარგებლობას ნახულობს შვეიცარელი გლეხი, ვინემ ჩვენი რაოდენიმე ქცევა მიწაზე; აქიდან ცხადია, საქმე მიწის ნორმის რაოდენობაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ მის ნაყოფიერად და კულტურულად გამოყენებაზე. საერთოდ, წერილში ისეთი საყურადღებო ფაქტებია მოყვანილი შვეიცარიის კულტურული მეურნეობის შესახებ, რომ მეტად სასარგებლო იყო ამ წერილის ცალკე წიგნაკად გამოცემა ჩვენი სოფლის მეურნეთა შორის გასავრცელებად, მაგრამ ეხლანდელ ქაღალდის და ხელფასის კრიზისის დროს ეს ხომ ძნელი მოსახერხებელია.

არა ნაკლები მხატვრული, მჭერმეტყველურის ნიჭით აგვიწერს ავტორი „პარიჟს“, საფრანგეთის დემოკრატიის დედა ქალაქს, რომელიც ავტორის სიტყვით „კაცობრიობის წინამორბედი“, „ის დამცველია ჩაგრულთა“ და რომლის დევიზია: „ადამიანთა თავისუფლება“, პარიზს დღესაც არ დაუკარგავს თავისი ძველებური სახე; ამ საშინელ ჭარტახტილისა და ორომტრიალის დროსაც პარიზი ისევ პარიზია, რომელსაც „მთელ ქვეყანაზე განცალკევებული ადგილი უჭირავს“.

წერილში დაწვრილებითაა აღწერილი გადატრიალება საფრანგეთში, რომელიც 1789 წელს მოხდა, როდესაც „ხალხმა სთქვა, საფრანგეთი მე ვარო“, როდესაც დაეცნენ ბატონები ძველი ქვეყნისა და „თავხედმა პარიზმა“ მთელ ქვეყანას წინააღმდეგობა გაუწია, როდესაც მთელი ევროპა შემოესია პარიზს, მაგრამ დამარცხდა ევროპა და პარიზმა აღმართი დროშა, რომლის ერთ გვერდზე დააწერა რესპუბლიკა, მეორეზე თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“... მაგრამ პარიზი მარტო თავის თავს არ იცავს, ის ესარჩლება ყველა ჩაგრულს ამისათვის ურჩევს ავტორი მკითხველს: „შეიყვარე პარიზი, თაყვანი ეცი ამ დიდებულ ქალაქსო“.

შემდეგ წერილში აღნიშნულია თუ როგორ დაეცა წოდებრივი პარიზი და გამეფდა ფული, კაპიტალი, რის შემდეგ აღარ კითხულობენ: „რა გვარი ხარ, არამედ: რამდენი გაქვს ფული?“ პარიზის ძლიერ ტალღებთა შორის ავტორს არც ერთი მათგანი არ დარჩენია შეუსწავლელად, მაგრამ უმეტესად მის ყურადღებას იპყრობს პარიზის პოლიტიკური მხარე; ავტორი პარიზის იმ სტუმართმაგანია, რომლისთვისაც პარიზი „უკვდავების წყაროა“ და რომელსაც ავტორი ასე ხარბად დაეწაფა. ახალგაზდა პოლიტიკოსი „ფრანგთა ხასიათის და ისტორიულ განვითარების გასაცნობად“ შედის დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში, რომლის კედელზე გამოხატულია ქალი, რესპუბლიკის სიმბოლო, რომელზედაც ოქროს ასოებით ამოჭრილია რესპუბლიკა, თანასწორობა, ძმობა, თავისუფლება...

ავტორს არა ნაკლები ყურადღება მიუქცევია აგრეთვე პარიზის მწერლობისათვის, რომელსაც „უჩინ-მაჩინის ქუდი ახურავს და ძვრება თვით ადამიანის სულსა და გულში; მწერლობა ყველაზე მაღალი და ყველაზე უფროსია, „ყველა მწერლის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება“; „თავისუფალი მწერლობა უმაღლესი იარაღია ბუნებრივი სიმართლის, ზნეობრივი სიფაქიზისო“ დასძენს ავტორი, (მაგრამ ვაი, რომ ჩვენი მწერლობა ჯერ ამ უმაღლეს წერტილამდე არ არის განვითარებული!..)

რისთვის აგვიწერს ავტორი ასე გაცხარებით, გულმოდგინედ, დაწვრილებით „პარიზის მწვერვალებს“, ან ვის მოუწოდებს ის ამ მწვერვალზე, ვინ არის ერთი პატარა ერი, „რომელიც ხელებ აწვდილი ზევით იცქირება“ უნდა ამ კულტურის და ცივილიზაციის მწვერვალზე ახოტინდეს, ვის ეძებს ავტორი ზევიდან ქვევით, ვინ ამბობს: „მეც მინდა მანდ ავიდე, სხვებს გაუმახანაგდეო“, ვისთვის ამბობს ავტორი: „ხელი მოჰკიდეს მაგას, მაგ შენ სისხლს და ხორცს და არ გაუშვა, სანამ ზევით არ ამოიყვანოო, მისი ბედნიერება შენი ბედნიერებააო, შენ ის ხარ და ის შენო“. ვის ანაცვალებს თავს ასე დაუზოგავად ავტორი, ვისა და ქართველ ერს, მის მშრომელ მასას, ვისთვისაც ავტორი ყმაწვილობიდან დღემდე სწერდა, იღწოდა, ფიქრობდა, ოცნებობდა და ეს ოცნება დღეს სინამდვილეთ იქცა, საქართველოს მშრომელი კლასი განთავისუფლდა, საქართველო დღეს „გაუმახანაგდა“ ევროპას, გაიმარჯვა ავტორმა, რომელსაც ბედმა არგუნა თავისი ხალხის სადავეს ხელში დაჭერა...

მეტად საინტერესო მასალით არის შემკული აგრეთვე წერილი „ორი ონტალისტთა მე X საერთაშორისო კონგრესი ქ. ჟენევაში“ ამ კონგრეს უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროს ევროპის ცივილიზაციისთვის. კონგრესის უმთავრესი მიზანი იყო ხალხთა შესწავლა მეცნიერულად, განსაკუთრებით ლინგვისტიკის მხრივ. ამ კონგრესზე, ალბათ ავტორის ინციატივით, საქართველოს შესახებაც ყოფილა ლაპარაკი; ამ მხრივ აღსანიშნავია, წერილში მოყვანილი განსვენებულ ალ. ხახანაშვილის მოხსენება სათაურით: „უცხოელთა გავლენა საქართველოს ცივილიზაციაზე“, სადაც აღწერილია მოკლედ საქართველოს ისტორია და ის თუ რომელ ხალხთან ჰქონდა კავშირი საქართველოს. დაწვრილებითაა აგრეთვე აღნიშნული სპარსეთისა და ბიზანტიის დიდი ზეგავლენა საქართველოზე და მისი შედეგები. მოხსენებაში დაწვრილებითაა მოყვანილი თუ რა ფაქტორების ზეგავლენით დაიყო საქართველო სარწმუნოების მხრივ სამ ნაწილად: მართლ-მადიდებლათ, კათოლიკებათ და მაჰმადიანებათ.

მეოთხე წერილი „მესამოცე წლების მოღვაწენი და დღევანდელი ცხოვრება“ თითქმის გაგრძელებაა წერილების—„ახალი გზით“, რომელიც I-ტომში იყო მოთავსებული. ავტორი თ. რ. ერისთავის იუბილეს გამო ღრმა ანალიზით აგვიწერს საქართველოს ცხოვრების იმ ხანას, როცა სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა იყო ძველსა და მომავალ, ახალ საქართველოს შორის. ეს ის დრო იყო, როცა დაეცა ბატონ ყმობა, კაცობრიობისათვის ეს სამარცხვინო ინსტიტუტი, შეიცვალა ეკონომიური ცხოვრება; დრო მოჰმულმა თავადაზნაურობამ სამუდამოთ დაკარგა თავის გავლენა, მიწა-წყალი თან და თან ხელიდან ეცლებოდათ, და მამულს არც ჰქონდა მემამულეთათვის წინანდელი მნიშვნელობა; ეხლა საჭირო იყო ყოვლის შემძლებელი მხოლოდ ფული, რომლის შოვნის უნარი ჩვენ თავად-აზნაურობას არ ჰქონდა.

19 საუკუნეში დაკარგა საქართველომ თავისი პოლიტიკური სახე—მან თავის სვე-ბედი რუსეთს ჩააბარა, რასაც მოყვა საქართველოს ძირიან-ფესვიანად გადატრიალება; რუსიზმის გამეფებამ ჩვენში გამოიწვია მშობლიური ენის დაცვა, და მესამოცე წლების მოღვაწეებმაც, განსაკუთრებით პოეტებმა, ამ მხრივ მომართეს თავის ჩანგი; პოეთ-მოღვაწეთა შორის ბუმბერაზი იყო რაფ. ერისთავი, საძირკველი ჩაეყარა ახალ მიმართულებას, რომლის დედა-ბოძი იყო; „ქართველის გაევროპიელება და ქართველის გაქართველება“. შემდეგ ავტორი დაწვრილებით მოგვითხრობს ქართველ-სომეხთა ურთიერთობის შესახებ; საქართველოში სომხების ჩამოსახლების ისტორიას და იმ როლს, რომელიც სომხებმა, ევროპიელებმა და რუსებმა ითამაშეს საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში; ამ დროს ჩვენი ეკონომიურ ცხოვრების ღერძს სომხის სოვდაგრები ატრიალებდენ, სომხის კაპიტალით არსებობდა საქართველოს მართველი წრეები, სამაგიეროთ საქართველო მფარველობდა სომხებს, მაგრამ იმის შემდეგ, რაც საქართველოს აღარ შეეძლო სომხეთისათვის სარგებლობის მოტანა მათ პირი იბრუნეს. ასეთია გზა ისტორიისაო“ დასძენს ავტორი „ყველა ერი თავის ინტერესებს იცავს და ვაი იმ ერს, რომელსაც თავისი ინტერესები ვერ შეუგნიაო“ საქართველოს დაცემაშიც არა ნაკლებ მონაწილეობა მიუღია სომეხ სოვდეგრებს, მათ „ეჩმიჰძინის კათალიკოსმა ლუკამ ასი ათასი მანეთი მიართვა აღა-მაჰმად-ხანს სამხედრო ხარჯათ, როცა იგი საქართველოში შემოსასევად ემზადებოდა, იმ განზრახვით, რომ იბრაჰიმ ხანი და მეფე ერეკლე აეკლო“. საერთოდ ამ წერილში ჩვენს მავლეგარს აუარებელი ისტორიული მასალა შეუძლია ამოკრიბოს.

წიგნი სუფთად არის გამოცემული, კარგ ქაღალდზე, 110 მანეთი წიგნი ფასი დღევანდელ პირობებში სულაც არ არის ძვირი. მადლობის ღირსია გამომცემლობა. ვისურვებთ ყველასაგან საყვარელ ავტორის ნაწერების გამოცემაც მალე შეძლებოდეს გამომცემლობას, მხოლოდ ერთი გვინდა ურჩიოთ მას: რაც შეიძლება მეტი გამოსცენ წიგნები, რადგანაც მისი მოთხოვნილება თან და თან დიდი იქნება; ხელ-ახლად გამოცემის საქმე კი უფრო გაძნელდება.

გრ. მ—ნი.

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

მუშათა დელეგაცია

საქართველოს პროფესიონალური კავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა გარეშე სამინისტროს მიმართა თხოვნით აღჭრას შუამდგომლობა საქართველოში მყოფ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობის წინაშე, რათა მან დელეგაციას საბჭოთა რუსეთში გამგზავრების უფლება მისცეს. ამასთანავე ვაგზავნილია დელეგაციის წევრთა სია. აღმასრულებელი კომიტეტი გარეშე საქმეთა საქმეთა სამინისტროს სთხოვს მოამზადოს დელეგაციისათვის ყველა საჭირო მოწმობები.

მიწის მუშათა ამხანაგობანი.

სახელმწიფო სადგილ-მამულო ბანკის ტფილისის განყოფილებამ ფინანსთა და მიწად-მოქმედების სამინისტროების წინაშე აღძრა საკითხი მიწის მუშათა კავშირების დღევანდელ მდგომარეობის შესახებ. ეს ამხანაგობანი წინად გლეხთა ბანკის დახმარებით იქნდენ მამულებს,

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ჰიდრო ელექტრიული სადგური ხონში. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადასწყვიტა დააქმაყოფილოს ქ. ხონის შუამდგომლობა ჰიდრო-ელექტრიულ სადგურის ასაგებად 12 მილ. მანეთის სესხის მიცემის შესახებ იმ პირობით, რომ ამ სადგურით ისარგებლოს ქალაქის სამმართველო დაწესებულებებმა და მცხოვრებლებმა. სათანადო პროექტი განსახილველად წარედგინება მთავრობას.

დღიური სახელმწიფო დაწესებულების მოხანახურეთ. საგანგებო კომისიამ რომელსაც მინდობილი ჰქონდა ბათომში გაგზავნილ სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურეთათვის მისაცემ დღიურის რაოდენობის გამცრკვევა, უკვე გამოიმუშავა დღიურის შემდეგი ნორმა: 1. დროებით გაგზავნილთ, რომელთაც ოთახი არ ეძლევათ, უნდა მიეცეს თვიური ჯამაგირის $^4/_{30}$. 2. ბათომს გაგზავნილთ, რომელთაც ეძლევათ ბინა და მიწვეული არიან სამსახურში უნდა მიეცეთ თვიური ჯამაგირის $^3/_{30}$. კომისიამ გადასწყვიტა მოსთხოვოს ყველა სახელმწიფო დაწესებულებას ცნობები, თუ რამდენიბინაა საჭირო ყველა მოსამსახურისათვის. კომისიის დადგენილებას, მუშათა მაგიდის ბათომში დაარსების შემდეგ კვლავ გადასინჯვენ.

კინტრიშის ხეობის გეოლოგიური კვლევა-ძიების მოსახდენად 21 აგვისტოს საქართველოს მუზეუმის დირექტორის ნ. მ. ყიფიანის მეთაურობით გაემგზავრა ექსპედიცია, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ: პროფ. ა. ა. თვალჭრელიძე, პროფ. გ. მ. სვიმონოვი და მადნეულობის ტეხნიკი ე. ვ. ლუტკოვი.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ

(საკ. კორ.).

წყალსადენის საქმე.

ამ დღეებში ქაალაქის მოურავმა დ. თოფურიძემ ყაუხჩიშვილისგან ლონდონიდან ცნობა მიიღო, რომ ქუთაისის წყალსადენის საჭიროებისათვის შედარებით იაფფასებში ყოველგვარი მასალების და მილების შოვნა შესაძლებელია ლონდონში. ყაუხჩიშვილს, როგორც ის მოურავს ატყობინებს ქუთაისის წყალსადენის საქმეზე უცხოეთში ბევრ წყალსადენის მაკეთებელ ფირმებთან უკვე დაწყია მოლაპარაკება. ყაუხჩიშვილი იმედოვნებს თუ საშუალება გამოჩნდა და მთავრობამ სათანადო დახმარება გაუწია ქალაქს უცხოეთის ფირმებთან იოლი და მოსახერხებელი იქნება წყალსადენის მოწყობის საქმეზე ქალაქისათვის ხელსაყრელი პირობის დადება.

ქალაქის მამულების წესრიგში მოყვანა.

ქალაქის ბევრი მამული სხვა და სხვა პირებზე დღემდე უწესრიგოთ იყო გაცემული და ცნობაში არ იყო მოყვანილი. ქალაქის მოურავმა ამ გარემოებას სათანადო ყურადღება მიაქცია და სასწრაფოდ შეუდგა გამოკვლევას—თუ რომელ უბანში ამ ჟამად რამდენი ნაკერი მამული აქვს ქალაქს, ვის ხელშია ეს მამულები ეხლა. თითოეულ იმ პირს, რომელიც ეხლა ფაქტიურად ფლობს ქალაქის მამულს ამისათვის სათანადო ქაღალდი ქალაქიდან აქვს თუ არა.?

ნაძარცვი საქონელის აღმოჩენა

ქუთაისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა თიჩხაიამ ყურადღება მიაქცია, რომ ზოგიერთ საეჭვო პირებს ბაზარზე გამოჭონდათ და ყიდიდენ სახაზინო საცვლებს მან დაატუსაღა ჯარის კაცი პროკოფი პატარიძე, რომლის დაკითხვამ და საქმის გამოძიებამ ნათლად გამოარკვია, რომ სახაზინო საქონელი, რომელიც ბაზარზე გამოჭონდათ გასაყიდათ მოპარული იყო სამხედრო სასურსათო საწყობიდან. მილიციის უფროსმა საწყობიდან მოპარული 500.000 მანეთის საქონელი უკვე აღმოაჩინა და ზომები მიიღო დანარჩენი ნაპარავი საქონლის აღმოსაჩენმდ. ამ საქმეზე ჯერ ჯერობით შეიპყრეს და ქუთაისის ციხეში მოათავსეს: პროკოფი პატარიძე, სილიბისტრო დათუაძე, ვარლამ ბურჯანაძე, აკაკი კანდელაკი და სერგო ჩხიკვიშვილი.

დროებითი საორგანიზაციო გამგეობის არჩევა.

— ქუთაისის სავაჭრო-სამრეწველო საქციონერო საზოგადოების დამფუძნებელი წევრებმა უკვე აირჩიეს დროებითი საორგანიზაციო გამგეობა. გამგეობაში შედის პირველი ინიციატორი ამ საზოგადოების დაარსების ქალაქის მოურავი დ. თოფურიძე, კ. დათეშიძე, მ. ლაღიძე, პ. რაფაელოვი და მ. ფიჩხაძე. წინასწარ საორგანიზაციო მუშაობის მთავარ ხელმძღვანელად დამფუძნებლებმა მოიწვიეს ბათომის ყოფილი ქალაქის თავი ივანე ანდრონიკაშვილი, საორგანიზაციო სამართველოს მდივნად გამგეობამ აირჩია: ქალაქის საბჭოს მდივანი ილია ბახტაძე. დროებით სატეხნიკო საქმეების ხელმძღვანელად კი დაინიშნა ინჟენერი დიმიტრი კობიაშვილი, სააქციონერო საზოგადოებაში შემოსატანი ყოველგვარი ქონების შეფასებაში მონაწილეობის მისაღებად დამფუძნებლებმა აირჩიეს ქალაქის გამგეობის წევრი ანტონ მეფისაშვილი, რაჭის ერობის თავმჯდომარე დავით ლობჟანიძე და თუთუნის ქარხნის მეპატრონე გიორგი ქავთარაძე. მუშაობა საზოგადოების ასაოქმედებლათ ქითაისში გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობს. საქართველოს რესპუბლიკის ყველა ქალაქების ბანკებში საზოგადოების აქციების შესაძენათ ხელის მოწერა უკვე დაიწყო.

ფრონტის დამხმარე კომიტეტის საშუალებათა გასაძლიერებლად.

ფრონტის დამხმარე კომიტეტის საშუალებათა გასაძლიერებლად მოშე დავარაშვილმა, მიხეილ მოშაშვილმა, რაფაელ ელუაშვილმა და რაფაელ რიჟინაშვილმა ქუთაისის ქართველ ებრაელთა შორის ამ დღეებში სასწრაფოდ მოაგროვეს ორას ცამეტი ათას შვიდას ორმოცდაათი მანეთი, რომელიც დანიშნულ მიზნისათვის გადმოცეს ფრონტის დამხმარე ადგილობრივ კომიტეტს.

ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲐᲨᲘ

— 20 ივლის გონჩარის ქუჩაზე № 2 მცხოვრებმა მარიამ ხაჩატუროვისამ განუცხადა სისხლის სამართლის მილიციას რომ მისი ტფილისში არ ყოფნის დროს გაქურდეს მისი ბინა და წაიღეს ასი ათასი მანეთად ღირებული ნივთები. ქურდობა ჩაუდენია ვინმე შოფერს სახელად შალიკოს რომლის გვარიც

ჯერჯერობით არ იციან. ნაპარავი ნივთები უყიდნია გრიგორი არაქელოვს. მც. ქ. თბილისში ჩერქეზიშვილის ქუჩ. სახ. № 49 ჩხრეკის დროს არაქელოვის ბინაზე აღმოჩენილ იქნა უმეტესი ნაწილი ნაქურდალი ნივთებისა რომელებიც დაუბრუნდა დაზარალებულს. არაქელოვი გაგზავნილ იქნა № 1 საპყრობილეში. კვლევა ძიება გადაეცა სასამართლოს.

ქ. თბილისის და აღმოსავლეთ საქართველოს გენერალ-გუბერნატორის დადგენილებით 11 ამა აგვისტოს 1920 წ. სამუდამოთ დაკეტილ იქნა ტრაქტირი მჭედლის ქუჩ. № 5 ალექსანდრე მიხეილის ძე ლოლაძის, ქალაქდის და კამათლის აზარტის თამაშისათვის რაც ხშირად იმართებოდა ხსენებულ ტრაქტირში.

— სისხლის სამართლის მილიციას მოუვიდა ცნობა რომ მიხეილის ქუჩ. ერთ ერთ შალაზიიდან თუ საწყობიდან ბავშვები ეპარავენ შამპანიურის საგრძნობ დიდ რაოდენობას. მილიციის მიერ მიღებულ ზომებით გამოირკვა რომ ხსენებული ქურდობა ხდებოდა „სობოლის“ საწყობიდან მიხეილის ქუჩ. № 61. ეჭვით დაპატიმრებული ალექსანდრე ოქოიანცი, გრიგორი ოგანეზოვი და ვასილი ჭელაშვილი ქურდობაში გამოტყდნენ.

ს ა ნ ო ხ ა დ ე ბ ა ნ ი

ტფილისის მაზრის ერობა.

ამით აცხადებს რომ ოცდაერთ აგვისტოს მის სადგომში (რუსთაველის ქ. № 6.) 1 საათზე მოხდება საჯარო ვაჭრობა სოფელ ხაშში ოთხ თვალიანი წყლის მომუშავე წისქვილის იჯარით გადასაცემათ.

მსურველთ შეუძლიანთ წერილობითაც განაცხადონ თავისი ფასი. ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებათ საწინდარი 25000 მან. უნდა იყოს წარმოდგენილი. დაწვრილებით ცნობები ერობის სატეხნიკო განყოფილებაში მიეცემათ 1—2 საადამდის. 2451 2—1

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

რადგან ძალიან ბევრი შეგროვდა ფოთის სადგურზე შავი ქვით დატვირთული ვაგონები და დროზე არ იყოდება პატრონების მიერ 27 აგვისტოდან შეცვლამდე, თანახმად ბ. გზათა დეპარტამენტის დირექტორის განკარგულებისა ფასი ვაგონების გაცდენის გადადებულია სამასი მანეთიდან ათას მანეთამდე. დღე და ღამეში. 865 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების ბარათი სანდრო ლევანის ძე ბაიაძის სახელზე, მიღებული გორის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2430 3—2

დაიკარგა ნოტარიალური ნასყიდობის სიგელი დამტკიცებული 15 აპრილს 1919 წ. № 516 კუთვნილი მოქალაქე შალვა მაღლაკელიძისა. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2429 2—2

დაიკარგა ატესტატი № 345 არტავაზ და მიხეილის ძე ეგიაზარიანცის სახელზე, მიღებული სომხების სასულიერო სემინარია „ნერსესიანიდან“. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2428 3—2

დაიკარგა პასპორტი დავით იოსების ძე ზილბერფორბის სახელზე. მიღებული ქუთაისის სახალხო მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2416 3—3

დაიკარგა პასპორტი № 7371 იაკოფ რავენ ოღლის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2410 3—3

დაიკარგა პასპორტი № 6871 გიორგი სერგოს ძე გორბოვის სახელზე, მიღებული რუსების ნაციონალურ საბჭოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2411 3—3

დაიკარგა პასპორტი № 3100 მატრონა გაბრიელის ასული ბაქრაძის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის სამმართველოდან 1916 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2413 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა გიორგი ზაქარიას ძის დოლიძის სახელზე, მიღებული ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2419 3—2

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული 6 კომისარიატიდან, პირადობის მოწმობა სურათით, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან და მოწმობა, მიღებული საგუბერნიო ათასეულიდან მე-5 უბნის მილიციონერის ალექსანდრე ზაალის ძე ნეგიაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2420 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა კოსტანტინე პეტრეს ძე გასპარიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცავის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2421 3—2

დაიკარგა ნუსხა № 126 დავით ბაგრატის ძე დოლიძის სახელსე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2423 3—2

დაიკარგა საზღვარ გარეთელი პასპორტი, მიღებული შინაგან საქმეთა სამინისტროდან და სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან ისრაილ ისხავის ძე (იგივე მამაჯანის ძე) აივაზიშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2425 3—2

სახელმწიფო ქალალდების ექსპედიცია ამით აცხადებს გაუქმებულად მოწმობას № 746, რომელიც იყო მისგან მიცემული ამა აგვისტოს 24-ს, ხუთას მანეთიანის ბონი ლიტ, რ. ქ. 0047 შესახებ. 2424 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი № 3394 დანიელ ივანეს ძე კუზმინის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2412 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი მდებარე სახელბალაქარის შესახვევში № 6. მარიამ აფანასეს ასულ ვართანიანცის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2378 3—3

დაიკარგა ერთი სულის სასურსათო წიგნაკი რუბენ ჭელიძის სახელზე, მიღებული რკ. გზის ცენტრალურ სასურსათო კომიტეტიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2388 3—2

დაიკარგა სამხედრო უბანზე მიწერილობის მოწმობა № 409 ალექსი ლავრეს ძე პეგანოვის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2329 3—2

დაიკარგა მოწმობა სერგო კობიძის სახელზე, მიღებული ქუთაისის სახალხო გვარდიის საოლქო შტაბიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3—2 (უფ)

დაიკარგა საბინაო დავთარი გოგოლის და ფეირვეროვის ქუჩების კუთხეში 42-6 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ნიკ. ელბაქოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2374 3—3

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი გეორქ ელიას ძე შოგინიანცის სახელზე, მიღებული ტფ სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2366 3—3

დაიკარგა პასპორტი, მიღებული სოდმელის საზოგ, (რაჭის მაზრა) და სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა ლონგინოზ ილარიონის ძე ყიფიანის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2408 3—2

დაიკარგა პასპორტი გაცემული ტფილისის მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოს მიერ ვალი-საფრალ ოღლის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2406 3—2

ტფილისის მეორე საკრედიტო საზოგადოება აცხადებს, რომ დაკარგულია რუსეთის სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორაში შესანახად შეტანილ პროცენტიან ქალალდების კვიტანციები №№ 324|753, 324|1394 და 324|2016. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2401 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი ბორჯომის ქუჩაზე № 7 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის სალახაიას. გაუქმებულად ჩაითვალოს 2407 3—2

დაიკარგა ტფ. მე-5 გიმნაზიის მე-8 კლასის მოწაფეობის მოწმობა და პირადობის მოწმობა მიღებული რუსების ნაციონალურ საბჭოდან მიხეილ პაპოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2363 3—3

ვაჩიანის საზოგადოების კომისარმა (გუმურდოს რაიონის ახალქალაქის მაზრისა) დაჰკარგა მთავრობის მიერ მიცემული ბეჭედი უღერბო, წარწერით „ვაჩიანის საზოგადოების კომისარი“ მპოვნელმა უნდა მიმართოს ახალქალაქის მაზრის კომისარს. 1953 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა, № 987 რკინის გზის სტამბის ლიტოგრაფიიდან მიღებული, სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების და სრულიად თავისუფლების მოწმობები, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან ალექსანდრე მიხეილის ძე დანდუროვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2347 3—2

დაიკარგა სამხედრო გამწვევ უბანზე მიწერილობის ბარათი დავით ივანეს ძე ყიასოვის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2387 3—1

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო თანახმად ალექსანდრე ყარამანის ძე მაჭავარიანის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს პირობის დუბლიკატი მიცემული ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსისგან 16 ივლისიდან 1917 წლ. № 1443, შეტანილი რეესტრშიდ 1 გვერზედ, 104 ნაწილში 15 ივლისს 1917 წლ. № 728, სთხოვს მნახველებს აღნიშნული საბუთებისა წარმოადგინონ მილიციის სამმართვმლოში ჩასაბარებლათ კუთვნილებისამებრ, წინაღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულად ჩაითვალოს. 3—2

დაიკარგა ტფილისის ქალაქის თვითმმართ. მიღებული საპენსიო წიგნაკი № 4. კაპიტ. ივანე თოხაძის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 2375 3—3

დაიკარგა ტრამვაის უსახელო ბილეთი 612 გაცემული ტფილისის თვითმართველობის საბინაო განყოფილების სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2374 3—3

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი გრიგოლ ივანეს ძე გრიგოლაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2367 3—2

დაიკარგა პასპორტი № 850 ალექსანდრე დიმიტრის ძე თუხარელის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2352 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა შტ. კაპ. ვახტანგ რაუდენის ძე მაღალაშვილის სახელზე, მიღებული კავკასიის მესამე სანაპირო პოლკიდან. და სხვა საჭირო საბუთები. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2355 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიხეილ იოსების ძე შმოისის სახელზე, მიღებული ბაქოს მილიციის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2462 3—1

დაიკარგა პასპორტი № 2219 დავით დავითის ძე ქუქიაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2463 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან, სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან, პირადობის მოწმობა და პურის ბარათი, მიღებული არსენალიდან გიორგი მათეს ძე კენჭიაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2441 3—1

დაიკარგა სამუდამო პასპორტი, მიღებული ტფ. სამაზრო სამმართველოდან 1912 წ. და სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. შაქრო ივანეს ძე ჩერქეზიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2453 3—1

დაიკარგა პასპორტი № 38 მიხეილ გალუსტის ძე პეტროსიანის სახელზე, მიღებული ბაქოში 1908 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2454 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა იოსებ ალექსის ძე ზარხასაშვილის სახელზე, მიღებული სამხედრო სამინისტროს სამნეო განყოფილების ფეხსაცმელების სახელოსნოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2455 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 101, მიღებული სამტრედიის მილიციის უფროსის სამმართველოდან, მეტრიკული ამონაწერი № 51, მიღებული სოფ. საჭილაოს ეკლესიიდან და სამხედრო სამსახურის ნუსხა, № 8202, მიღებული ქუთაისის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, ვასილი ლევანის ძე ჯონჯალიას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2455 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი ამატონეევის ქუჩა № 50 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ელისაბედ ივანეს ასული თომასოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2456 3—1

დაიკარგა წიგნაკი № 144 ფულის დახმარების შესახებ ოლღა რევაზოვის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2461 3—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგისტრაციო განყოფილება აცხადებს რომ სასამართლო 1920 წ. იანვარს 30 დადგენილებით იმ საზოგადოებითი და კავშირთა ნუსხაში, რომელთაც აზრად მოგების აღება არ აქვთ დასახული შეტანილია სომეხთა სახალხო პარტიის სტუდენტთა ფრაქციის კლუბი 0461 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგისტრაციო განყოფილება აცხადებს, რომ სასამართლოს 1920 წ. იანვრის 21 დადგენილებით კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში შეტანილია ფეხსაცმელების და ტყავეულობის საწარმოო და გამსაღებელი საქართველოს კოოპერატიული ამხანაგობა „ძმობა“ 0452 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგისტრაციო განყოფილება აცხადებს, რომ სასამართლოს 1920 წ. მარტის 6 დადგენილებით იმ საზოგადოებითი და კავშირთა, რომელიც აზრად მოგების აღება არ აქვთ დასახული შეტანილია სომეხთა სასულიერო ნერსესიანის სახელობის სემინარიის მამულში მყოფ ცენტრალურ ბაზრის მოვაჭრეთა კომიტეტის კავშირში. 0463 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგისტრაციო განყოფილება აცხადებს, რომ სასამართლოს 1920 წ. მარტის 2 დადგენილებით კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში შეტანილია თელავის მეჩექმეთა მომხმარებელ საზოგადოება „შრომა“. 0464 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგისტრაციო განყოფილება, აცხადებს, რომ საზოგადოებათა და კავშირთა ნუსხაში, რომელთაც აზრად მოგების აღება არ აქვთ დასახული შეტანილია საქართველოს რესპუბლიკის ჭლექთან მებრძოლი საზოგადოება. 0465 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს 1920 წ. თებერვლის 25 დადგენილებით კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში შეტანილია სოფ. ქსნის მომხმარებელი საზოგადოება „კრამატი“. 0466 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგისტრაციო განყოფილება აცხადებს, რომ სასამართლოს 1920 წ. მარტის 2 დადგენილებით იმ საზოგადოებათა და კავშირთა ნუსხაში, რომელიც აზრად მოგების აღება არ აქვთ დასახული შეტანილია წესიერი ნადირობის სანადიროთა მომგებიან ცხოველების გამრავლებაზე მზრუნველი ტფილისის საზოგადოება 0467 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგისტრაციო განყოფილება აცხადებს, რომ სასამართლოს 1920 წ. მარტის 2 დადგენილებით იმ საზოგადოებათა და კავშირთა ნუსხაში, რომელთაც აზრად მოგების აგება არ აქვთ დასახული შეტანილია ებრაელთა აკადემიური კორპორაცია იბრია. 0468 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგისტრაციო განყოფილება აცხადებს, რომ სასამართლოს 1920 წ. აპრილის 6 დადგენილებით, იმ საზოგადოებათა და კავშირთა ნუსხაში, რომელთაც აზრად მოგების აღება არ აქვთ დასახული შეტანილია საზოგადოება ებრაელთა სამლოცველო სახლი „პოალეი-ცედეკ“ პატიოსანი მუშაკი მრევლთა ი. ს. გროსებინის სახელობაზე დაარსებული ტფილისში 0453 1—1

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი.